შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ტესტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

პრაქტიკული დავალება პრაქტიკული დავალებისათვის განკუთვნილ ფურცელზე შეასრულეთ. პრაქტიკული დავალების (დავალება 26) შესასრულებლად თქვენ დაგირიგდათ ფანქარი, საშლელი და სათლელი.

პრაქტიკული დავალებისათვის განკუთვნილ ფურცელზე იმუშავეთ ფანქრით! ფანქრის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ ამ დავალების შესასრულებლად.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 60.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ - 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

1-19 დავალების ინსტრუქცია – პასუხების ფურცელზე შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X ნიშნით.

1. რა მხატვრული თავისებურებით ხასიათდება რომის კატაკომბების ფრესკები?



ა. ადრექრისტიანული ხანის ოსტატები უარყოფდნენ ანტიკური, ბერძნულ-რომაული კულტურისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს;

ბ. ადრექრისტიანული ხანის ოსტატების შემოქმედება განიცდიდა ჩამოსახლებული (მომთაბარე) ხალხების კულტურის გავლენას;

გ. ადრექრისტიანული ხანის ოსტატებმა ანტიკური ბერძნულ-რომაული ხელოვნების თავისებურებები მოარგეს ახალი ხელოვნების მოთხოვნებს;

დ. ადრექრისტიანული ხანის ოსტატები ჩამოსახლებული ხალხების კულტურისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს შერჩევით იყენებდნენ.

2. . სან ვიტალეს ბაზილიკა რავენაში (იტალია) ბიზანტიური კულტურისათვის დამახასიათებელი მრავალი ასპექტის გამომხატველია. ჩამოთვლილთაგან რა *<u>არ ვლინდება</u>* სან ვიტალეს ტაძარში?

ა. ბიზანტიურ ხელოვნებაში ანტიკური მხატვრული ფორმების გამოყენება;

ბ. ბიზანტიის იმპერიის უდიდესი სიმდიდრე;

გ. იმპერატორ იუსტინიანეს ძალაუფლება და მისი როლი იმპერიის გაფართოებაში;

დ. ბიზანტიის მიერ რომში შემუშავებული ქრისტიანული ხელოვნების მხატვრული ნიშნების უარყოფა.

3. რომელ თავისებურებას ავლენს კონკის სენტ ფუას ტაძრის ტიმპანი და ბაიოს გობელენი?





ა. რელიკვიების კულტსა და მომლოცველობის მნიშვნელობას;

ბ. დასავლეთ ევროპის ხელოვნებაში ხაზოვანი (გეომეტრიული) პერსპექტივის განვითარების თავისებურებას;

გ. სამეფო პატრონაჟის შესუსტებას;

დ. თხრობის მხატვრული მანერის მნიშვნელობას შუა საუკუნეების ევროპულ ხელოვნებაში.

4. რისი ნიმუშია კორდობას დიდი მეჩეთი და აია სოფიას ტაძარი სტამბოლში?

ა. ქვეყანაში ახლად დამკვიდრებული რელიგიებისა და კულტურებისათვის არსებული ძეგლების ახლით ჩანაცვლების საჭიროება;

ბ. ერთი კულტურის მიერ შექმნილი არქიტექტურული სტრუქტურის გამოყენება განსხვავებული რელიგიური მრწამსისათვის;

გ. ისლამის მიერ ნაგებობების კლასიკური ნიმუშების უარყოფა;

დ. ბიზანტიის მიერ ისლამური მხატვრული ნიმუშების გადამუშავება და მათი გამოყენება ქრისტიანობის ჭრილში.

5. ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერილობა ან/და თავისებურება *<u>არ შეესაბამება</u>* ენგრის სურათს „დიდი ოდალისკა“ (1814) და მანეს „ოლიმპიას“ (1863)?





ა. მწოლიარე ნიუ;

ბ. შუქისა და ჩრდილის კონტრასტის გამოყენება;

გ. რენესანსის გავლენით შექმნილი დრაპირება;

დ. კომპოზიციებში მხატვრობის თანამედროვე ევროპული ყოფითი დეტალების ჩართვა.

6. რომელ ინსტიტუციებთან ავლენენ კავშირს თავისებურად ენგრისა და მანეს წარმოდგენილი სურათები, რომლებიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა პარიზის მხატვრულ სამყაროზე?





ა. ეკლესია და არისტოკრატია;

ბ. აკადემიები და სალონები;

გ. მუზეუმები და ხელოვნების საჯარო პროგრამები;

დ. სავაჭრო პასაჟები და საჯარო სახალხო გალერეები.

7. ჩამოთვლილთაგან რომელი დახასიათება *<u>არ შეესაბამება</u>* გუსტავ კურბეს სურათს „ქვის მტეხველნი“?



ა. ნაწარმოებში წარმოჩენილი ურბანიზაციის შედეგები;

ბ. წერის უხეში, დაუსრულებელი მანერა დაპირისპირებული მხატვრობის აკადემიურ სტილთან;

გ. კომპოზიცია, სადაც სურათის მთელ ზედაპირზე გაბატონებულია ფიგურათა გამოსახულებები;

დ. „ძველ ოსტატთა“ მხატვრული მანერის საშუალებით მხატვარი დაბალი სოციალური ფენის ადამიანთა მხატვრულ სახეებს ქმნის.

8. ჩამოთვლილთაგან, რომელმა ახალმა ტექნოლოგიამ *<u>არ მოახდინა</u>* გავლენა იმპრესიონიზმის, როგორც მხატვრული მიმდინარეობის ჩამოყალიბებაზე ?

ა. ბინოკლისა და ტელესკოპის მასიურმა წარმოებამ;

ბ. რკინიგზის ფართოდ განვითარებამ;

გ. ფოტოგრაფიამ - ახლად შემუშავებულმა ტექნოლოგიამ;

დ. საღებავების მასიურმა წარმოებამ.

9. ჩამოთვლილთაგან რას *<u>არ გამოხატავს</u>* დომიეს სურათი „ნადარს ფოტოგრაფია უმაღლესი ხელოვნების რანგში აჰყავს“ და მონეს ტილო „წმინდა ლაზარეს სადგური“?



ა. ქალაქისა და ურბანული ცხოვრების მნიშვნელოვნებას;

ბ. პერსპექტივის კანონების უარყოფას;

გ. ახალი ტექნოლოგიების მნიშვნელობას ყოველდღიურ ცხოვრებაში;

დ. სპეციფიკური მომენტების დაფიქსირებისადმი დიდ ინტერესს.

10. ჩამოთვლილთაგან ყველაზე *<u>მეტად რა განასხვავებს</u>* ვან გოგის „ვარსკვლავებიან ღამეს“ სეზანის „სენტ ვიქტუარის მთისგან“?



ა. მხატვრული ნიშნები, დამახასიათებელი რეალისტური ხელოვნებისათვის;

ბ. ორივე სურათზე მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი და ატმოსფერული ცვლილებების ზუსტ ასახვას;

გ. კონტრასტი, რომელიც შექმნილია კონტრასტული ან ნახევრად კონტრასტული ფერების საშუალებით;

დ. ერთ ავტორთან მნიშვნელობა ენიჭება ექსპრესიულ გამომსახველობას, ხოლო მეორესთან კი ბუნების ფერწერულ აღქმას.

11. ჩამოთვლილთაგან რომელი საშუალება *<u>არ ემსახურება</u>* მხატვრული სახის ექსპრესიული ხასიათის შექმნას სახვითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებში - როდენის „კალეს მოქალაქეები“ და მუნკის „კივილი“?

ა. ჟესტებისა და სახის გამოსახულებათა უტრირება;

ბ. ნაწარმოების ზედაპირი, რომელზეც თითქოს იკითხება ოსტატთა ხელის შეხების კვალი;

გ. ნათლად გამოვლენილი ავტობიოგრაფიული მინიშნებები;

დ. დაგრძელებული, კუთხოვანი ფორმები.

12. რა განაპირობებს რენესანსის ეპოქაში ზეთის საღებავების ფართოდ განვითარებას ტემპერის საღებავებთან შედარებით?

ა. ზეთის საღებავები ნაკლებად გამჭვირვალეა;

ბ. ზეთის საღებავები უფრო სწრაფად შრება;

გ. ზეთის საღებავები გაცილებით იაფია;

დ. ზეთის საღებავები გაცილებით მოხერხებულია მხატვრული დამუშავებისას.

13. რომელ ძირითად თავისებურებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება რენესანსის ეპოქაში შექმნილი რუჩელაის სასახლესა და პაცის კაპელის არქიტექტურაზე მსჯელობისას?

ა. ორივე ნაგებობა შექმნილი იყო არაწარჩინებული გვარის ოჯახებისათვის;

ბ. ორივე ნაგებობაში ნათლად წარმოჩნდება ანტიკური რომის არქიტექტურის უშუალო გავლენა;

გ. ორივე ნაგებობაში გამოყენებულია ნახევარწრიული თაღები;

დ. ორივე ნაგებობაში გამოყენებულია სულ მცირე სამი სახეობის ორდერი.

14. ჩამოთვლილთაგან რა შეიძლება ჩაითვალოს კლასიკური იდეალებისაგან გადახვევად მიქელანჯელოს მიერ სიქსტის კაპელისათვის შექმნილ ფრესკებში?

ა. არქიტექტურული სტრუქტურისა და მხატვრობის ურთიერთმიმართება;

ბ. ჰარმონიასა და წესრიგზე მეტად დრამატიზმსა და ექსპრესიაზე ყურადღების გამახვილება;

გ. იდეისა და აზრის გამოხატვის მიზნით ჟესტების სტილიზაცია;

დ. კომპოზიციებში შიშველი ფიგურების სიმრავლე.

15. დააკვირდით ატენის სიონის მოხატულობის დეტალს. რა მხატვრული თავისებურება *<u>არ ახასიათებს</u>* ქართული ფრესკული მხატვრობის წარმოდგენილ ნიმუშს?

ა. მოხატულობის მონუმენტალიზმი და სადღესასწაულო ხასიათი;

ბ. ანატომიის ცოდნის საფუძველზე შექმნილი პლასტიკური ფიგურები;

გ. უტრირებული და მანერული, ასევე სტილიზებული გამოსახულება;

დ. არქიტექტურული და პეიზაჟის ელემენტების მარტივი, ლაკონური ფორმები.

16. ქვემოთ მოცემული არქიტექტურული გეგმები ქართული ქრისტიანული ტაძრების სხვადასხვა ტიპის ნიმუშებს წარმოგვიდგენს. რომელი მათგანია ჩახაზული ჯვრის ტიპის ნაგებობა?

ა.



ბ.



გ.



დ.



17. რა ნიშანი გამოარჩევს ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურას „გარდამავალ“ ხანაში (VIII – X საუკუნეები)?

ა. არქიტექტურული ტიპებისა და თემების მრვალფეროვნება;

ბ. ტაძრების ცენტრულობა;

გ. ტაძრების მრავალაფსიდიანობა;

დ. კლდეში ნაკვეთი არქიტექტურის ტექნოლოგიური მიდგომების შემუშავება.

18. რა მხატვრული თავისებურებით გამოირჩევა მცხეთის ჯვრის აღმოსავლეთის ფასადის წარმოდგენილი რელიეფი?

ა. რელიეფისათვის დამახასიათებელი მოცულობითი ფორმები და ზოგადად მხატვრული ხასიათი მოწმობს ელინისტური კულტურის ტრადიციებთან ჯერ კიდევ შენარჩუნებულ კავშირს;

ბ. ადრექრისტიანული ხანის ოსტატებმა უარყვეს ელინისტური კულტურისათვის დამახასიათებელი თავისებურებები;

გ. გამოსახულება სიბრტყობრივ-გრაფიკული სტილითა და ნახატის ორნამენტული ხასიათით გამოირჩევა;

დ. რელიეფზე შეიმჩნევა სიბრტყობრივ-დეკორატიული სტილის ნიშნები, რაც აღმოსავლურ მხატვრულ ტრადიციებზე მიუთითებს.

19. რა არის როტონდა?

ა. გეგმაში წაგრძელებული სწორკუთხა ნაგებობა, რომელიც სვეტების საშუალებით სამ ან ხუთ ნავადაა დაყოფილი;

ბ. გეგმაში ჯვრის ფორმის მქონე ნაგებობა, რომლის ოთხივე მხარე აფსიდებით ბოლოვდება;

გ. გეგმაში წრიული ფორმის მქონე ნაგებობა;

დ. გეგმაში სწორკუთხა ფორმის მქონე ნაგებობა, რომელიც ოთხივე მხრიდან სვეტებითაა გარშემორტყმული.

20-25 დავალება. ***„ჭეშმარიტია-მცდარია“***

დავალების ინსტრუქცია – ყურადღებით გაეცანით მოცემულ დებულებებს - თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ. თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი ფორმულირება.

შენიშვნა: თუ ფიქრობთ, რომ ფორმულირება მცდარია და თვლით, რომ მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი დატოვეთ და იმავე განმარტებისთვის მოძებნეთ და მიუსადაგეთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა.

ნიმუში:



20. სხვადასხვა სტილის მხატვრული ელემენტების და მოტივების სინთეზს არქიტექტურაში ეკლექტიზმი ეწოდება.

21. დეკორატიულად გაფორმებული ქვის ზღუდე, რომელიც საკურთხეველს გამოყოფს ეკლესიის დანარჩენი სივრცისგან, საკურთხევლის წინ აღსამართავი ჯვარი ეწოდება.

22. ძველი ბერძნული ქალაქის შემაღლებულ ადგილზე განთავსებულ გამაგრებულ ნაწილს, სადაც საზოგადოებრივი და საკულტო ნაგებობები იყო განლაგებული, აგორა ეწოდება.

23. მხატვრული ხერხი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სხვადასხვა აზრისა თუ იდეის არაპირდაპირ, იგავურად, სიმბოლოების საშუალებით გამოხატვა, ასევე ზეციური სხეულების ან არსებების განსახიერება კონკრეტულ სახეებში ალეგორიაა.

24. პერსონაჟების ან სიუჟეტური სცენების გამოსახვის (უმეტესად საეკლესიო მხატვრობაში) მკაცრად დადგენილ სისტემას სახვით ხელოვნებაში იკონოგრაფია ეწოდება.

25. ბიზანტიური ტაძრის ფასადი ისევე, როგორც ინტერიერი, დატვირთულია მდიდარი მორთულობით.

26. პრაქტიკული დავალება

ინსტრუქცია - შექმენით ნატურმორტი კუბისტურ მანერაში, გამოსახულება კომპოზიციური პრინციპების შესაბამისად განათავსეთ სასურათე სიბრტყეზე, გამოიყენეთ: გრადაცია, ტონალური და ლოკალური ლაქები.

27-30. ქრონოლოგიის განსაზღვრა.

დავალების ინსტრუქცია – დაალაგეთ (უძველესიდან უახლესისკენ) სახვითი ხელოვნების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, რომ ცხრილში იწერება მხოლოდ შერჩეული ერთეულის შესაბამისი ციფრი.

27. დაალაგეთ ქანდაკების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით:

1.

2.

3.

4.



28. დაალაგეთ მხატვართა ავტოპორტრეტები მათი შექმნის დროის მიხედვით:

1.

2.

3.

4.

29. დაალაგეთ ქართული მონუმენტური მხატვრობის ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით:

1.

2.

3.

4.

30. დაალაგეთ არქიტექტურის ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით:

1.

2.

3.



4.

31-33 დავალება. შესაბამისობის დადგენა

31. დავალების ინსტრუქცია - შეუსაბამეთ A ველში მოცემული **ტაძრის გეგმები** B ველში მოცემული **არქიტექტურული ტიპების ჩამონათვალს.** გაითვალისწინეთ, ერთ მახასიათებელს მხოლოდ ერთი მიმდინარეობა ან/და ეპოქა შეესაბამება.

A 1.



2.



3.



B ა. ტეტრაკონქი; **ბ.** ტრიკონქი; **გ.** ბაზილიკა; **დ.** მრავალაფსიდიანი; **ე.** ცენტრალურ-გუმბათოვანი

32. დავალების ინსტრუქცია - შეუსაბამეთ A ველში მოცემული მხატვრული ტექნიკები B ველში მოცემულ ილუსტრაციებს. გაითვალისწინეთ, ერთ ტექნიკას მხოლოდ ერთი ილუსტრაცია შეესაბამება.

A 1. ენკაუსტიკა 2. მოზაიკა 3. ფრესკა

B ა.

ბ.

გ.



დ.

ე.

33. დავალების ინსტრუქცია - შეუსაბამეთ A სვეტში მოცემული მხატვრულ-სტილური მახასიათებლების ჩამონათვალს B სვეტში მოცემული მიმდინარეობა/ეპოქა. გაითვალისწინეთ, ერთ მახასიათებელს მხოლოდ ერთი მიმდინარეობა ან/და ეპოქა შეესაბამება.

მხატვრულ-სტილური მახასიათებლები	**მიმდინარეობა/ეპოქა**
A. 1. მიმდინარეობა ხელოვნებაში, რომლის წარმომადგენლები ცდილობენ, გამოსახონ ემოციათა სუბიექტური სამყარო და ***არა*** არსებული რეალობა. ემოციური ეფექტი მიიღწევა ფორმათა უტრირებით; 2. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის პირველ ათწლეულებში პოპულარული დეკორატიული სტილი. იგი ხასიათდებოდა ტალღოვანი ხაზებითა და ფორმებით, რომლებსაც საფუძვლად მცენარეული ფორმები დაედო; 3. ადრეული XX საუკუნის მხატვრული მიმდინარეობა, რომელსაც ახასიათებდა მკვეთრი ფერების არანატურალისტურად გამოყენება.	**B.** ა. ფოვიზმი ბ. მოდერნი გ. რენესანსი დ. ექსპრესიონიზმი ე. იმპრესიონიზმი

34. ხელოვნების ზოგიერთი ნიმუში ჩაფიქრებულია, როგორც მითოლოგიური სიუჟეტის ინტერპრეტაცია. მოცემული სურათებიდან შეარჩიეთ ხელოვნების ერთი ნიმუში და დააკავშირეთ ის კონკრეტულ სიუჟეტთან. გააანალიზეთ ნაწარმოები და დაადგინეთ:

1.



2.

3.

4.

ა. სახვითი და კონტექსტუალური თავისებურებები, რაც ავლენს ამ ნაწარმოების მიმართებას თქვენ მიერ დასახელებულ სიუჟეტთან;

ბ. რომელი მხატვრული ხერხების საშუალებით გამოხატავს ავტორი ნაწარმოების იდეას?

35. ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზი

გაიაზრეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ ქვემოთ მოცემული ხელოვნების ნიმუში

შეასრულეთ დავალება მითითებების მიხედვით:

35.1 აღწერეთ და დაახასიათეთ კომპოზიცია; რომელ ჟანრს განეკუთვნება მოცემული კომპოზიცია? მასალისა და ტექნიკის საფუძველზე ამოიცანით, სახვითი ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი;

35.2 გააანალიზეთ და მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რა სახვით საშუალებებსა და ხერხებს იყენებს ავტორი მხატვრული სახის ხასიათის შესაქმნელად სურათზე;

35.3 მხატვრულ-სტილური მახასიათებლების საფუძველზე განსაზღვრეთ ნამუშევრის შექმნის დრო, დაადგინეთ, რომელი ქვეყნის ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი, დაასახელეთ ავტორი;

35.4 შეაფასეთ ნამუშევარი – გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება, იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება;

35.5 იმსჯელეთ გავლენებზე, განიხილეთ ნაწარმოები ისტორიულ-კულტურულ და ა.შ. კონტექსტში.